



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **18-01180863581**

თარიღი: **27.03.2018**

ადრესატი:

შპს Construction Service

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2018 წლის 16 მარტის #10/01180752954-18 განცხადება, რომლითაც ითხოვთ შპს „construction service“-სა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2018 წლის 1 მარტს გაფორმებული #02.01/30/118 ხელშეკრულების ფარგლებში ქ.თბილისში, ცინცაძე-კარტოზიას ქუჩის გადაკვეთაზე სანტრასპორტო კვანძის მოწყობის მიზნით ხე-მცენარეების მოჭრა, გადარგვისა და სხვა-ფორმირების ნებართვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული როგორც „დადგენილება 17-55“) მე-2 თავის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული ხე-მცენარეები ხელს უშლის სატრანსპორტო კვანძის მოწყობას, სამსახური თანახმაა განახორციელოთ 11 ძირი ამერიკული ნეკერჩხალის, 9 ძირი ვერხვის, 11 ძირი თუთის, 55 ძირი ელდარის ფიჭვის, 3 ძირი კვიპაროსის, 1 ძირი ლელვის, 1 ძირი ტყემალის, 2 ძირი იფანის და 2 ძირი ჭერამის სპეციალური ჭრა. მოჭრილი მერქნული რესურსი უნდა დასაწყობდეს შესაბამისი გამგეობის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

დადგენილება 17-55-ის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს, ჭრაზე ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე).

რაც შეეხება ხე-მცენარეების გადარგვას, გაცნობებთ, რომ დადგენილება #17-55-ის მე-2 თავის, 21-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული მწვანე ნარგავები ჯანსაღი ეგზემპლარებია და ექვემდებარებიან გადარგვას, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს 5 ძირი იფანი, 20 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 2 ძირი გლედიჩია, 1 ძირი კვიპაროსი, 4 ძირი კაკალი, 1 ძირი ხურმა, 9 ძირი თუთა, 3 ძირი ელდარის ფიჭვი, 2 ძირი ბროწეული, 2 ძირი ტყემალი, 2 ძირი სოფორა, 2 ძირი ჭერამი, 4 ძირი აკაკი, 1 ძირი თელა, 11 ძირი აკაცია, 1 ძირი ნუში, 4 ძირი ვერხვი, 48 ძირი კედარი, 3 ძირი ცაცხვი, 111 ძირი ოლეანდრა და 8 გრძ/მ კვიდო აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

რაც შეეხება ხე-მცენარეების სხვა-ფორმირებას, გაცნობებთ, რომ სამსახური თანახმაა მოახდინოთ 10 ძირი ვერხვის, 2 ძირი ამერიკული ნეკერჩხალის და 1 ძირი აკაკის სხვა ფორმირება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის
უფროსი)



გიგა გიგაშვილი